



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
თ ე რ ჯ ო ლ ა  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 II

05/02/2018

**„თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის (მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხებში) თანამდებობაზე დავით ბრეგვაძის განუსაზღვრელი ვადით დანიშვნის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 16.06.2015 წლის №58 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა სარგოების, საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №16 დადგენილების შესაბამისად **ვბრძანებ:**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნას ცვლილება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 16.06.2015 წლის №58 ბრძანების მეორე მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2. თანამდებობრივი სარგო განისაზღვროს 800 (რვაასი) ლარით.“

**მუხლი 2.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (ქ.ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 3.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობაზე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო